საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კურდღლისცოცხა (Genista)

კურდღლისცოცხა

კურდღლისცოცხა (Genista), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. ბუჩქები ან ბუჩქბალახებია. 70-ზე მეტი სახეობა ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში.

საქართველოში გვხვდება 9 სახეობა, აქედან 6 – საქართველოს, ხოლო 2 – კავკასიის ენდემია. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე მშრალ, კლდოვან და ქვიან ფერდობებზე, მდელოზე, ტყესა და ბუჩქნარებში. ძველად კ-ს ფოთლებიდან, ღეროებიდან და ყვავილებიდან იღებდნენ ქსოვილის ყვითელ საღებავს.

ი. მიქელაძე